PRESS RELEASE
Scroll down for English

თანამშრომლობის ხედვები: მიმდინარე შეხვედრები

კორეული თანამედროვე ხელოვნება

@Artisterium 19 / 2026

21-26 აგვისტო, 2026
ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი
გახსნა: 21 აგვისტო. 18:00
რუსთაველის გამზირი 27

ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი - „არტისტერიუმი“, თბილისის თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც მოიცავს თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენებს, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებს.

პროექტის შესახებ

2009 წელს, თბილისში ერთმანეთს ორი მხატვრული სამყარო შეხვდა: არტისტერიუმი, თბილისის საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი და კორეული Nine Dragon Heads (NDH) საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელოვნების სიმპოზიუმი. პირველი შეხვედრა, დროთა განმავლობაში, გაცილებით მასშტაბურ თანამშრომლობად - გამოფენების, ურთიერთგაცვლისა და დიალოგის თხუთმეტწლიან პროგრამად გადაიქცა, რომელმაც ქართველ მაყურებელს კორეული თანამედროვე ხელოვნების არაერთი თაობის შემოქმედება გააცნო.

2019 წლისთვის პარტნიორობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო: გამოფენების ციკლი, სახელწოდებით „თანამშრომლობის ხედვები“, რომელმაც თანამშრომლობის ათი წელი აღნიშნა და საერთო ისტორიის ათწლეული მიმოიხილა. თანამშრომლობა არტისტერიუმსა და NDH-ს შორის არასოდეს ყოფილა სტატიკური. მისი ნამდვილი ღირებულება ყოველთვის უწყვეტობაში იყო, ურთიერთობებში, რომელიც ღია რჩებოდა განვითარებისთვის, დიალოგისა და ახალი შეხვედრებისთვის.

2026 წლის პროექტი „თანამშრომლობის ხედვები: მიმდინარე შეხვედრები“ ხანგრძლივი პარტნიორობის აღმნიშვნელი, კიდევ ერთი გამოფენაა, რომელიც 21-16 აგვისტოს

ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში 18 კორეელი მხატვრის ნამუშევარს აჩვენებს.

გამოფენაში მონაწილე კორეელი ხელოვანების ნამუშევრები თვითგამოხატვის ახალი ფორმების მუდმივ ძიებას ასახავს და ისეთ თემებს ეხება, როგორიცაა საზოგადოება, კულტურა, ფილოსოფია, გარემო, ტექნოლოგია, იდენტობა და ყოველდღიური ცხოვრება. გამოფენა მაყურებელს სთავაზობს დაინახოს, თუ როგორ პასუხობენ სრულიად განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში მოღვაწე ხელოვანები იმ შეკითხვებს, რომელიც ერთის მხრივ, თანამედროვეობის ყველასთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხმაურება, ხოლო მეორეს მხრივ, დღევანდელი კორეისთვის დამახასიათებელ კულტურულ და შემოქმედებით კონტექსტს ასახავს.

მონაწილე მხატვრები

რუნი იონჰი სუ, იანგ როქ ჩოი, კიმ იონ-ოკ, შიმ ჰონგ-ჯე, სარა პარკ, ბაკ იონ -ჰუნ, კიმ სუნგ-ბო, ლიმ ჯონგ-ინ, იანგ ბიუნგ-მან, ნამ ჰიუნ-ჯო, პარკ სიუნგ-ჯე, ბე ილ რინ, კიმ იონგ გილ, ნამ მიუნგ -ოკ, კვონ კი-ჯა, პაკ კიონგ-ოკ, კიმ კიოლ-სუ, კიმ იანგ-ჯინ.

გამოფენის კურატორები: კიმ კიულ-სუ, ბაკ იანგ-ჰუნ, რი ჯიონგ-მო

არტისტერიუმის 19 / 2026 -ის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის სამინისტრო, შემოქმედებითი საქართველო და კორეული Nine Dragon Heads (NDH).

ორგანიზატორი:
ა(ა)იპ არტისტერიუმი
ბალანჩივაძის ქ. 5/66
ვებგვერდი: https://artisterium.com/
ელ.ფოსტა: info@artisterium.com
ტელ: 599 63 28 00

საგამოფენო სივრცე
ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 27
ვებგვერდი: tbilisimoma.ge
ელ.ფოსტა: info@momatbilisi.ge
ტელ: 032 298 60 04

PRESS RELEASE

Visions of Collaboration: Ongoing Encounters

Korean Contemporary Art

@Artisterium 19 / 2026

Tbilisi, Georgia
August 21-26, 2026
Zurab Tsereteli Museum of Modern Art
Opening: August 21, 6 pm
27 Rustaveli Avenue, Tbilisi, Georgia, 0114

ARTISTERIUM is a Tbilisi annual International Contemporary Art Exhibition and Art Events. It features international exhibitions, individual art projects, and a variety of educational and cultural programs. ARTISTERIUM brings together artists, artist groups, curators, and art critics from around the globe.

About the Project

In 2009, two artistic worlds met in Tbilisi: Artisterium, the Tbilisi International Contemporary Art Festival, and Korea's Nine Dragon Heads (NDH) International Environmental Art Symposium. What began as a first encounter gradually grew into a much broader collaboration, a fifteen-year program of exhibitions, exchange, and dialogue that introduced Georgian audiences to the work of several generations of Korean contemporary artists.

By 2019, the partnership had entered a new phase with the exhibition series *Visions of Collaboration*, marking ten years of exchange and reflecting on a decade of shared history. The collaboration between Artisterium and NDH has never been static. Its true value has always been in its continuity, in relationships that remain open to development, dialogue, and new encounters.

The 2026 project, *Visions of Collaboration: Ongoing Encounters*, is another exhibition marking this long-standing partnership. It brings together works by 18 Korean artists and will be presented at the Zurab Tsereteli Museum of Modern Art on 21–26 August**.**

The works in the exhibition reflect the artists' ongoing search for new forms of self-expression, engaging with themes such as society, culture, philosophy, the environment, technology, identity, and everyday life. The exhibition invites audiences to consider how artists working in very different sociocultural environments respond to questions that, on the one hand, address issues of urgent and shared contemporary relevance, while on the other, reflect the particular cultural and creative context of Korea today.

Artists

Ryoony Yoonhee Suh, Young Roc Choi, Kim Yeon-Ok, Shim Hong-Jae, Sarah Park, Bahk Young-Hoon
Kim Sung-Bo, Lim Jeong-In, Yang Byung-Man, Nam Hyun-Joo, Park Seung-Jae, Bae Il Rin, Kim Yeong Gill, Nam Myung-Ok, Kwon Ki-Ja, Pak Kyong-OK, Kim Kyul-Soo, Kim Young-Jin.

Co-curated by Kim Kyul-Soo, Bahk Young-Hoon, and Rhee Gyeong-Mo.

Artisterium 19 / 2026 is supported by the Georgian Ministry of Culture, Creative Georgia, and Korea's Nine Dragon Heads (NDH).

Organizing Institution

Artisterium
Address: 5/66 Balanchivadze str, Tbilisi 0171, Georgia
Website: https://artisterium.com/
Email: info@artisterium.com
magda.guruli8@gmail.com
Phone: + 995 599 63 28 00

Venue Information

Zurab Tsereteli Museum of Modern Art
Address: 27 Rustaveli Avenue, Tbilisi, Georgia, 0114
Website: tbilisimoma.ge
Email: info@momatbilisi.ge
Phone: 032 298 60 04